



ფილმის თემა: არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელობა, ერთი ხმის მნიშვნელობა, მოქალაქეთა გააქტიურება თუ რატომ უნდა მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, არჩევნების პროცედურები.

ფილმის ხანგრძლივობა: 20-30წთ.

ფილმის მიზანი: „სამართლიანი არჩევნები“ საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერითა და პარტნიორობით ახორციელებს პროექტს - დიალოგისა და უნარჩვევების ხელშეწყობა ეფექტური ეროვნული საარჩევნო პროცესებისათვის. პროექტის მესამე კომპონენტის მიზანია ამომრჩეველთა ინფორმირება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მნიშვნელობაზე, საარჩევნო პროცედურებზე, ამომრჩეველთა სიებზე და არჩევნებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ინტერაქტიული ფილმის გადაღება, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში გადაიცემა ადგილობრივი ტელევიზიებითა და კინოთეატრებით. ფილმის საშუალებით ორგანიზაცია ხელს შეუწყობს ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლებას საარჩევნო პროცესებთან მიმართებაში და მოუწოდებს მოქალაქეებს გამოიყენონ თავიანთი კონსტიტუციური უფლებამოვალეობა, მონაწილეობა მიიღონ დაგეგმილ არჩევნებში.

ფილმის სავარაუდო შინაარსი: ფილმის შინაარსი ძირითადად უნდა ემყარებოდეს არჩევნებსა და მის მნიშვნელობას. რატომ უნდა წავიდეს მოქალაქე არჩევნებზე და რატომ უნდა მისცეს ხმა. რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს არჩევნებში მონაწილეობის არ მიღებას. ასევე ფილმში მოცემული უნდა იყოს ის პროცედურები, რომლებიც ამომრჩეველმა უნდა იცოდეს კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად. ამომრჩეველთა უფლებები და მოვალეობები. სასურველია გამოყენებული იქნეს რეალური ფაქტები.

საჭირო დოკუმენტაცია: განაცხადი უნდა შეიცავდეს ფილმის სავარაუდო სცენარს, ფილმის დამზადების სავარაუდო თანხასა და განმცხადებლის წინა ნამუშევარს. (CD-ზე ჩაწერილი ვიდეო რგოლი).

განაცხადები უნდა მოგვაწოდოთ შემდეგ მისამართზე:

ვაჟა ფშაველას გამზირი # 7, თბილისი 0160



სამართლიანი არჩევნები

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 30 ნოემბერი.

გაითვალისწინეთ, არასრულად შემოტანილი ან ელ-ფოსტით გამოგზავნილი განაცხადები არ განიხილება.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ნინო დოლიძე

ტელ: + 995 32 37 22 13, + 995 32 98 39 98

ელ-ფოსტა: pr@isfed.ge

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (+995 32) 37 22 13
ფაქსი: (+995 32) 98 39 98

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge